პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 ივნისი ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 141 (14137)

პირველ ადგილზე

ჟუთაისი. (საკ. კორ.). № 2658 საგვირთო ავტოკოლონის კოლექტივი (უფროსი კ. გაჭრაძე), რომელიც რესპუბლიკის ავტომეურნეობებს შორის ერთ-ერთი პირველი გადავიდა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, მტკიცედ ჩადგა მოწინავეთა რიგებში. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ავტოკოლონის კოლექტივი პირველ ადგილზე გამოვიდა რესპუბლიკაში.

აქ ვადაზე ერთი კვირით ადრე ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს ხუთი თვის დავალება. ამაღლდა რენტაბელობის დონე. საერთო ფულადმა შემოსავალმა გეგმით გათვალისწინებულს 100 ათასი მანეთით გადააჭარბა, ხოლო მოგებამ — 26 ათასი მანეთით.

ხუთწლეულის — ვადაზე ადრე

ახალი მოდელის ჩარხები

მიმდინარე წლის ხუთ თვეში რვა ახალი მოდელის სპეციალური ჩარხები დაამზადეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში. ამ ჩარხებისაც, ისევე როგორც მათ წინამორბედებს, მილდამმუშავებელ მრეწველობაში იყენებენ, მაგრამ ძველსა და ახალს შორის დიდი სხვაობაა. ეს ახალი ჩარხები მოდერნიზებული და გაუმჯობესებულია. მაგალითად „ტტ-141“ ტიპის ახალი სარორტნი ჩარხი შეასრულებს მაგარი, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული მილების დამუშავების აქამდე დიდ ხარჯებთან დაკავშირებულ პროცესს. იგი შეცვლის უცენტრო სახეს ჩარხს და იძლევა ძვირფასი ლითონის დიდ ეკონომიას. აქამდე სახეები ჩარხით ლითონის დამუშავების შემდეგ ანათლული ბურბუშელა არ რჩებოდა. ახლა ასეთი ძვირფასი ლითონის ნარჩენები შეიძლება ხელმეორედ გადამუშავდეს.

მოდერნიზაცია განიცადეს „ჭკ-20“ და „ჭ-კ-20-მა“ ტიპის მილსახეხელმა ჩარხებმაც. ყველა მათგანმა ფორმატებით გაიარა გამოცდა და დროულად გაეგზავნა მომხმარებელს.

— რამდენიმე მათგანი მოძმე ბულგარეთში გავგზავნეთ, — აღნიშნა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა მ. ფეროლმენ, — დანარჩენი ჩვენი ქვეყნის მილდამმუშავებელმა ქარხნებმა მიიღეს. უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელი, რომელიც მთავარია ახალი სისტემის მუშაობის დროს, განვლილ ხუთ თვეში ჩვენთან საკმაოდ მაღალია. დავალების გადამეტებით რეალიზებულია 657 ათასი მანეთის პროდუქცია.

„კომუნისტის“ კორ.

გუშინ ჩაის პლანტაციებში

ბეჯითად მუშაობენ მეჩაიეები, მრუკრეფელს არ ტოვებენ შემოსულ ფოთოლს. მახარაძის რაიონში მაის-ივნისში უნდა მოკრიფონ 20.007 ტონა ჩაის კომეურნეობის წევრმა ნ. ნიტაშვილმა ერთ დღეს მოკრიფა 60 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა, სეზონის დაწყებიდან კი — 2.300 კილოგრამი. ამით 200 კილოგრამის გადაჭარბებით გაანადგა ფოთლის კრეფის მაის-ივნისის დავალება. ლუბა და მედიკო ნაჭყებიებმა მოკრიფეს 62 კილოგრამი ფოთოლი თვითეულმა ნაცვლად 25 კილოგრამისა, ქეთო და სონია ცხომელიძეებმა თვითეულმა — 55 კილოგრამი და ამით ფოთლის კრეფის დღიური გეგმა ორმაგად შეასრულეს.

ბათუმის რაიონში მაის-ივნისში უნდა მოკრიფონ 4.416 ტონა ფოთოლი, მოკრეფილია 4.346 კილოგრამზე მეტი. კვლავ წინ მიდის ახალშენის კომეურნეობის წევრი ნ. ლომინაძე, რომელმაც გუშინდელი დღის ჩათვლით მოკრიფა 3.200 კილოგრამი ფოთოლი და ამით წლიურ დავალებას 200 კილოგრამით გადაჭარბა. მან გუშინ მოკრიფა 50 კილოგრამზე მეტი ფოთოლი, რაც დღიური ვეგზის 200 პროცენტს შეადგენს. ამავე კომეურნეობების წევრებმა ხ. გორგაძემ, მ. სურმანიძემ და ნ. დასანიძემ ერთ დღეს მოკრიფეს სამოცდასამოცი კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 25 კილოგრამისა.

ცხაკაიას რაონის ლენინის კომეურნეობის წევრმა ც. ძაძამიამ ერთ დღეს მოკრიფა 42 კილოგრამი ფოთოლი, ნ. ვახანიამ — 37 კილოგრამი, ვ. გოგიამ, ნ. ანჯაფარიძემ — 38 კილოგრამი თვითეულმა ნაცვლად 25 კილოგრამისა.

ხობის რაიონის ახალ ხიბულის კიროვის სახელობის კოლეურნეობის წევრმა შ. ქვარცხავამ ერთ დღეს მოკრიფა 60 კილოგრამი ფოთოლი, ჯ. გედენიძემ — 58 კილოგრამი, გ. ადამიამ, ნ. ვარდიამ თვითეულმა — 52 კილოგრამი, შუა ხორგის ენგელსის სახელობის კოლეურნეობის წევრმა ე. ნურწუმიამ და ვ. წულაიამ — 57 კილოგრამი ფოთოლი თვითეულმა და ამით კრეფის დღიურ ნორმას 32 კილოგრამით გადაჭარბეს.

215.000 ტონა ჩაისთვის

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

18 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი **„კომუნისტებისა და უპარტიოების მარქსისტულ-ლენინური განათლების მდგომარეობა და გაუმჯობესების ღონისძიებანი სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.** მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. გ. სტურუამ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ნ. ჯუსოევი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **კ. კ. გარდაფხაძე,** ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ პროპაგანდისტი **მ. ს. ალექსანდროვა,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **მ. შ. ხვარაკია,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **დ. დ. დიასამიძე,** საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **პ. ს. აბესაძე,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ო. ვ. თაქთაქიშვილი,** საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ლ. ს. ხარბედია,** გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე **დ. ვ. მჭედლიშვილი,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი **თ. პ. სტეპჩენკო,** საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი **დ. დ. მაღალაშვილი,** საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **შ. ვ. ყარყარაშვილი,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **რ. ვ. მეტრეველი,** საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის მდივანი **თ. მ. მაისურაძე,** საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი **ნ. პ. შონია.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

განხილულ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება.

(საქდესი).

საბჭოთა კავშირ-ჩადის მოლაპარაკება

18 ივნისს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ჩადის მოლაპარაკება:

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი და სხვა ოფიციალური პირნი.

ჩადის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ჩადის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფრანსუა ტომბალბაი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჟაკ ბარუმი, ეკონომიკისა და ტრანსპორტის მინისტრი აბდულაი ლამანა და სხვა ოფიციალური პირნი.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-ჩადის ურთიერთობის გაფართოებისა და განვითარების საკითხები, აგრეთვე ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულახდილობისა და მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში. (საკდესი).

შეთანხმება დაიდო

17 ივნისს მოსკოვში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სასაზღვრო სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ.

შეთანხმება ითვალისწინებს, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სარკინიგზო მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის მგზავრთა გადაყვანის, ბარგისა და ტვირთის გადაზიდვის შესახებ მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე და მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საზღვარზე წარმოებული ყველა ოპერაციის გამარტივებასა და დაჩქარებას. ხელშემკვრელი მხარეები ითანამშრომლებენ და ერთმანეთს გაუწევენ საჭირო დახმარებას საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის სასაზღვრო სარკინიგზო მიმოსვლის დაცვისა და განვითარების მიზნით.

აზრთა გაზიარება შეთანხმების ყველა საკითხზე და მისი ხელმოწერა მიმდინარეობდა ურთიერთგაგების, შეხედულებათა ერთობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში. (საკდესი).

ჟურნალისტთა კადრების სწავლება

18 ივნისს მეცადინეობას შეუდგა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადამზადების მუდმივმოქმედი კურსების მსმენელთა მორიგი ნაკადი.

ერთი თვის მეცადინეობას შეუდგენენ საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორების მოადგილეები, მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორები.

კურსებზე ყოფნის დროს ისინი მოსმენენ ლექციებს და მონაწილეობას მიიღებენ სემინარებში სკკპ ისტორიისა და პოლიტიკის ძირითად პრობლემებზე, მეცნიერული კომუნიზმის წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის საფუძვლებზე. სასწავლო გეგმაში დიდი ადგილი ეთმობა ჟურნალისტიკის საკითხთა შესწავლას, მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. (საკდესი).

პროგრესის რევოლუციური ნაბიჯები

მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მოძღვრება უდევს საფუძველად საბჭოთა მეცნიერების შესანიშნავ წარმატებებს, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვეს.

მოსკოვის მეცნიერთა სახლში 17 ივნისს გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის დიად როლს მეცნიერულ აღმოჩენებში. საერთო კრება მოწვეულია კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად.

შესავალი სტატეა წარმოთქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა.

მარქსის სახელთან, — ბაზგასმით აღნიშნა მან, — დაკავშირებულია უდიდესი ეტაპი კაცობრიობის იდეურ განვითარებაში — სოციალიზმის გადაქცევა უტოპიიდან მეცნიერებად.

ვ. ი. ლენინმა ახალ, უმაღლეს ეტაპზე აიყვანა მარქსისტული თეორია. მარქსიზმ-ლენინიზმი მძლავრი და ერთადერთი იდეური იარაღია, რომელიც სწორი გზით წარმართავს მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა ბრძოლას რევოლუციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ.

დიალექტიკურმა მატერიალიზმმა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი საფუძველია, დიდი გავლენა მოახდინა მეცნიერების განვითარებაზე, თქვა მ. ვ. კელდიშმა. მან ეშმაკრიტად უცვალა სახე საზოგადოებრივი მეცნიერებებს და საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლის მეთოდოლოგიის საფუძველი, კაცობრიობის საზოგადოებრივი განვითარების გზების გაგებამ ერთ-ერთ ფუძემდებელ ფაქტორად ქცია ადამიანის ცხოვრება ახლა, განაგრძო მეცნიერმა, აყენებს განსაკუთრებით პასუხსაგებ ამოცანებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა წინაშე, რომლებიც უაღრესად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი პოლიტიკასა და იდეოლოგიის საკითხთან.

და დღეს, თქვა დასასრულ მ. ვ. კელდიშმა, როცა აღვნიშნავთ დიდი მეცნიერისა და რევოლუციონერის კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავს, კარგი იქნებოდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღგვენიშნა, თუ რა როლს ასრულებს მეცნიერება კომუნიზმისაკენ მიმავალ ჩვენს საზოგადოებაში. ერთხელ კიდევ უნდა ითქვას, თუ რა პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ, მეცნიერებს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, კომუნისტური პარტიის წინაშე.

მოხსენება „კ. მარქსი და სოციალისტური კულტურის განვითარების პრობლემები“ — გააკეთა აკადემიკოსმა ა. მ. რუმიანცევმა. აკადემიკოს ნ. ნ. სემიონოვის მოხსენება მიეძღვნა თემას: „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია და ბუნებისმეტყველების საკითხები“. (საკდესი).

საკდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-227“

1968 წლის 18 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-227“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,1 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 281 — კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა). — 194 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 51,8 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზეა: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით, რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტად გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ჩაის ფოთლის სიუხვისაღვის ბეჯითად მუშაობენ ლანჩხუთის რაიონის აცანის კოლმეურნეობის წევრები. სეზონის დაწყების პირველი დღეებიდანვე დაწინაურდნენ თინათინ და ზინაიდა თედორაძეები, ეფენია ჩხაიძე. თვითეული მათგანი დღეში კრეფს სამოცდაათ კილოგრამ ფოთოლს ნაცვლად მისი ნახევრისა. სურათზე (მარჯვნიდან): თინათინ და ზინაიდა თედორაძეები, ეფენია ჩხაიძე ფოთლის კრეფის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ალაზნის ველზე ოქროსფრად ღელავს ხორბლის უანები, შომკელს მოუხმობს... და აი მზით გარეჯული კუნთმაგარი ვაჟკაცები კომბაინების საჯეს მიუსხდნენ.

კომბაინერებმა შ. ბენაშვილმა, ფ. მაძღარაშვილმა, ა. ახანიშვილმა და სხვებმა ორი დღის წინათ დაამთავრეს 825 ჰექტარზე ქერის ალება. საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერამდე მარცვალი მიიღეს, ახლა კი სიღნაღის რაიონში პირველებმა ხორბლის მკაც დაიწყეს.

კოლმეურნეობის ველის ხომალდებმა ხორბლის უანებს შეუტიეს. წინა ხაზზე შ. ბენაშვილის აგრეგატია. ბენაშვილი ათ წელზე მეტია კომბაინის საჯეს მართავს და ჯერ არ შერცხვენილა. 12 საშუალო დღეში 200 ჰექტარზე ნაალები არც ერთ წელიწადს არ აუფია.

— შენი ვარაუდით წელს რამდენს მომკი?

შ. ბენაშვილმა ოქროსფრად მოელვარე უანას გადახედა და დაბეჯითებით თქვა: 12 სამუშაო დღეში 240 ჰექტარს მოვმკი, ბუნკერიდან 5.000 ცენტნერზე მეტ მარცვალს გადმოვტვირთავ.

სულ რამდენიმე წუთში კომბაინერმა შ. ბენაშვილმა საყვირით თავისაკენ მოუხმო ავტომძღოლ ვ. მოსულიშვილს. წლევანდელი მოსავლით დატვირთული პირველი ავტომანქანა კალსაკენ აჩქარა. კომბაინერ შ. ბენაშვილის აგრეგატს მხარდამხარ მიმყვებიან ფ. მაძღარაშვილის, ა. ახანიშვილის და სხვათა კომბაინები. პირველი დღის შედეგით კმაყოფილი არიან ქვემომახსენებელები. თვითეულმა 18-20 ჰექტარზე აიღო პური. საშუალოდ ჰექტარზე 20-21 ცენტნერი ხორბალი გალეწეს. კოლმეურნეობის თავკაცმა ვ. შანშაშვილმა

მინდვრის ხომალდები უანაში

უბის წიგნაკში პირველი ჰექტარების შედეგი ჩაიწერა და კმაყოფილმა თქვა:

შარშან 2.000 ჰექტარი საშემოდგომო ნათესს თვითეულ ჰექტარზე 19 ცენტნერი მარცვალი მივიღეთ, რა თქმა უნდა, შარშანდელ მიღწევებს ვერ დავჯერდებოდით. 2.236 ჰექტარი საშემოდგომო თავთავიანი კულტურები დავთესეთ. გეგმით საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვალი უნდა მივიღოთ. შეგვიტანეთ, სარეველების მოსასპობად კი ჰერბიციდები გამოვიყენეთ.

ეკვი არ გვეპარება, რომ გაწეული შრომა ნაყოფს გამოიღებს, საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ 21 ცენტნერს და სახელმწიფოს ბელელში ნაცვლად 500 ტონისა 1.200 ტონა მარცვალს მივიტანთ.

კოლმეურნეობის კალოზე ბევრი ხალხია. კალოს გამგე ა. მოსულიშვილი ციბრუტვინი ტრიალებს და ყოველ წუთში ხორბლის გადამუშავების ხარისხს ამოწმებს. უკანასკნელად გადახედა პურის ხვავებს და ავტომძღოლებს ვ. მოსულიშვილს, ვ. მენთეშაშვილს, ს. მაძღარაშვილს, მ. მახარობლიშვილს, ფ. მოსულიშვილს და სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის 10-მდე მძღოლს მოუხმო ხორბლის გადასაზიდად.

ცოტა დრო გავიდა და მოდგომასა და გაზაფხულზე ჯეჯილები მინერალური სასუქებით გამოვკვებეთ, მინდვრად გავატანეთ ორგანული სასუქიც, ბზუალას წინასაძდეგ თვითმფრინავით ჯეჯილებში ჰექსაქლორანი ბორბლით დატვირთული პირველი კოლონა დაიძრა წნორის პურპროდუქტების სარეალიზაციო ბაზისაკენ. პირველ დღეს ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს 30 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ხორბალი მიპყიდა.

რაიონის მემანდვრეების გადაწყვეტილებაა სამშობლოს მიეცემა 6.000 ტონა მაღალხარისხოვანი ხორბალი, გეგმა კი 5.050 ტონას ითვალისწინებს, თავთავიანი კულტურების პარალელურად გაძლიერონ სასილოსე სიმინდის თესვის ტემპი. წელს სასილოსედ 5.000 ჰექტარზე მეტი სიმინდი დათესეს. უკვე დათესილია 500 ჰექტარზე მეტი.

ამ დღეებში პურის მკას შეუდგებიან ძველი ანაგის, ტიბაანის, ანაგის და სხვა კოლმეურნეობები.

დ. გატიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომკავშირი თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავისათვის

მთელ ქართველ ხალხთან ერთად რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა აქტიურად ემზადებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის სახელოვანი იუბილესათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ის საკითხი, თუ როგორ ამზადებენ საიუბილეო ღონისძიებებს რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები. დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო უმაღლეს სასწავლებელთა რიგებში, მდგომი თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავის ფართოდ დღესასწაულობა საბჭოთა საქართველოს მთელი უმაღლესი განათლების მიდწეულთა თავისებური სიმბოლოა, კომუნისტური მშენებლობის უმაგალითო წარმატებათა, მატერიალური კულტურის ზრდის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების დემონსტრაციაა. უნივერსიტეტის იუბილეს მთელი ქართველი სტუდენტობის დღესასწაულია. ამიტომ უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციები ამ დღეებში დიდ მოსამზადებელ მუშაობას ეწევიან უნივერსიტეტის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კონკრეტული ღონისძიებანი დასახეს ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მოსამზადებლად. ყველგან ჯალაშალა ფართო პროპაგანდისტული მუშაობა, ეწყობა უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები. შეხვედრები მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, რომლებმაც თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრეს. დიდი მუშაობა წარმოებს ამ უმაღლესი სასწავლებლის ისტორიის მასალების შესაგროვებლად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად ხორციელდება ღონისძიებანი, რათა ახალგაზრდობა გაეცნოს ქართველ მეცნიერთა და პედაგოგთა კადრების სამეცნიერო — უნივერსიტეტის ისტორიას, მის როლს საქართველოში უმაღლესი განათლების მომზადებაში, კომკავშირის მუშაობას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის. ადგილებზე ეწყობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღეები“.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და კულტურულ-მასობრივი მუშაობის, სტუდენტი ახალგაზრდობის გაყოფილებებმა, ლექტორთა ჯგუფმა აქტიური პროპაგანდისტული მუშაობა გაუწევს ამისათვის, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობა ფართოდ გაეცნოს თბილისის უნივერსიტეტის ისტორიასა და საქმიანობას.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციები განახორციელებენ უნივერსიტეტის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს — მოაწყობენ მეცნიერულ და თემატურ კონფერენციებს, შეხვედრებს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობასთან, უნივერსიტეტის სტუდენტებთან; გაიცვლიან მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს, მოაწყობენ სტუდენტთა მხატვრული და ტექნიკური შემოქმედების ერთობლივ გამოფენებს.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა ახალგაზრდობის გაზეთებისა და ჟურნალების, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ახალგაზრდობის გადაცემების რედაქციების სისტემატურად და სრულად ამუშავებდნენ უნივერსიტეტის იუბილეასთან დაკავშირებულ საკითხებს, ფართოდ აცნობდნენ რესპუბლიკის ახალგაზრდობას უმაღლესი სასწავლებლის ისტორიას, მის მიღწევებს.

უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა მოგვიწოდა ფართოდ გავშალოთ მუშაობა რესპუბლიკის ახალგაზრდობაში უნივერსიტეტის მიღწევათა პროპაგანდისათვის. სტუდენტები შეაგროვებენ უმაღლესი სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციის ისტორიის მასალებს. მოძრაგი ბანაფენები ასახავენ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიას, მისი სტუდენტების, კომკავშირული ორგანიზაციის ცხოვრებას. ახალგაზრდა მასწავლებელთაგან, ასპირანტთა და უფროსი კურსების სტუდენტთაგან შემდგარი კომპლექსური ლექტორთა ბრიგადები რეგულარულად ჩავლენ რესპუბლიკის რაიონებში. ისინი სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში მოაწყობენ ერთობლივ ღონისძიებებს — ახალგაზრდობის შეხვედრებს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობასთან და სტუდენტებთან, საშეფო კონცერტებს, სპორტულ ღონისძიებებს.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით დაარსდა საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის სტიპენდია 70 მანეთის ოდენობით. იგი დაინიშნება ყოველწლიურად 1968 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის სტიპენდიას მიიღებენ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც კომკავშირულ ორგანიზაციაში აქტიურ მუშაობას წარმატებით უხამებენ ფრაიდზე სწავლას. სტიპენდია ენიშნება ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით, სტიპენდიის მიღების კანდიდატურას კი ერთად ასახელებენ უნივერსიტეტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი და კომკავშირის კომიტეტი. (საკდესი).

მუდამ ახლის ძიებაში

პარტიული კომიტეტის ლექტორი

ის გავიცანი ერთი წლის წინათ კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში. ჩვენი მაგიდები ერთიმეორის მეზობლად იდგა. საჭირო წიგნები შევუკვეთეთ და ველოდით, სანამ მათ მონახავდნენ და ამოგვიტანდნენ ღრმა წიგნსაცავებიდან. მკითხველთა დარბაზში ლაპარაკი აკრძალულია, და ჩვენ ჰოლში გავედით, რომ პაპიროსი მოგვეწია და ერთმანეთისათვის ორიოდე სიტყვა გვეთქვა.

— ხვალ ლექციი მაქვს, — გვითხრა მან. — მოვედი, რომ წიგნიდან „ელექტრონიკის საფუძვლები ლოკომოტივის ბრიგადებისათვის“ ამოვიღო გაანგარიშებანი ამ ლექციის საილუსტრაციოდ.

ჩვენი ახალი ნაცნობი — აკაკი ხარაძე თბილისის სალოკომოტივო დეპოს პარტიული კომიტეტის ლექტორია.

მეორედ შევხვდი მას, თუმცა დაუსწრებლად, დეპოს პარტიულ კომიტეტში, სადაც რედაქციის დავალებით მივედიდი. ამჯერად მასზე იყო ლაპარაკი როგორც მოწინავე მემანქანე-ინსტრუქტორზე, გაბედულ და საზრიან ადამიანზე.

— რა ყოჩაღია ჩვენი კაკო! — წამდაუწუმ ამბობდა პარტკომის მდივანი ოთარ გოგანაშვილი. ამით ალბათ უნდოდა უფრო მეტად გაეცნა ხაზი იმ გამბედაობისათვის, რომელიც აკაკიმ გამოიჩინა ხაშურ-თბილისის გადასარბენზე, ის რომ არა, მუშაობაში უხეში წუნი არ აგვცდებოდა.

ამ გადასარბენზე აი რა მოხდა.

...სატვირთო მატარებელი დიდი სიჩქარით უახლოვდებოდა სადგურ ქარელს და იგი მიიღეს არა მეორე ლიანდაგზე, როგორც გათვალისწინებული იყო, არამედ მესამეზე. რაშია საქმე, — შეშფოთებით გეიფიქრა აკაკი ხარაძემ, რომელიც ლოკომოტივის ბრიგადას მოჰყვებოდა. ასეთი რამ არასოდეს არა ყოფილა. ელმავლის კაბინიდან გაიხედა, რომ მიზეზი გიგეო, და ელდა ეცა, როცა ლიანდაგზე დრეზინა დაინახა. მატარებელი ჯიქურ უახლოვდებოდა მას. წუთიც, და უბედურება მოხდებოდა...

მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მომხდარა. როგორც ყოველთვის, აკაკის დაეხმარა წლობით გამომუშავებული თავდაჭერილობა და უნარი სწორი გადაწყვეტილების გამონახვისა. მან უცებ მოსწია სტოპ-კრანს, მატარებელი სწრაფად განთავისუფლდა სამუხრუჭე მაგისტრალის შეკუმშული ჰაერისაგან, თითქოს მოდუნდაო, და დრეზინიდან ორიოდე ნაბიჯზე გაჩერდა.

— უჰ! —შვებით ამოისუნთქა ყველამ, ვინც პერონზე იდგა, სადგურის მორიგეს კი, საშინლად შეშინებულსა და დაბნეულს, მხოლოდ ორი სიტყვა აღმოხდა: „გმადლობთ, კაკო!“ მაგრამ ჩვენ, რომლებმაც ვიცოდით, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მემანქანე-ინსტრუქტორს მოსაზრებულობა რომ არ გამოეჩინა, ამ ორი სიტყვის იქით ბევრი რამ დავინახეთ: ტონობით გადარჩენილი ტვირთიც, დაუმსხვრეველი ვაგონებიც და საბჭოთა ადამიანის კეთილშობილებაც.

დეპოს პარტიულ კომიტეტში ლაპარაკის შემდეგ უფრო ზშირად ვხვდებოდით აკაკი ხარაძეს. გვინახავს იგი საჯარო ბიბლიოთეკაშიც, ლექციებზეც, საექსპლოატაციო საამქროს პარტბიუროს სხდომებზე, რომლის მდივანიც იგი არის, და, რა თქმა უნდა, ელმავლის კაბინაში ბევრ რკინიგზის სადგურზე. და მასთან შეხვედრისას ყოველთვის ვპოულობდით მის ხასიათში, ქცევაში რაიმე ახალს, რაც წინათ არ შეგვინიშნავს და რაც კვლავ დადებითად ახასიათებს მას როგორც პარტიული კომიტეტის ლექტორს და თავისი საქმის დიდ ოსტატს.

ლექციი თემაზე „სიჩქარეთამზომი და მისი დანიშნულება“ მზად აქვს, იგი დამტკიცებულია ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე და აზე რას მიაღწიეს მემანქანეებმა და მათმა თანაშემწეებმა. თავიანთი დამრიგებლის რჩევისამებრ ზარშან დაზოგეს ხუთი მილიონ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია, რაც საკმაოდ სასამართლოა იმისათვის, რომ დამატებით წაიყვანონ ასამდე მატარებელი და გადაიტანონ ათიეულ ათასობით ტონა ზეკეგმითი ტვირთი.

აკაკი ხარაძესთან მორიგი შეხვედრის დროს, რაც სადგურ ქსაწში მოხდა, ჩვენ დაგვაინტერესა, თუ რა გეგმაში აქვს მას, როგორც ლექტორს, ზაფხულისათვის. მან მაშინვე მოგვცა პასუხი, რომლის მიხედვით ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ მისი მორიგი ლექციი უკვე მომზადებულია და ახლო მომავალში წარედგინება განსახილველად ლექტორთა ჯგუფს.

— ვამთავრებ ლექციაზე მუშაობას. — ხალისით თქვა მან. — იგი ასეთ თემაზეა: „ორი სამყაროს — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის იდეოლოგია“. ეს თემა დიდიხანია მაღელვებს. მეტადრე ახლა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა პროპაგანდისტებს, ლექტორებს, პოლიტინფორმატორებს მასებში იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისათვის.

ჩემი ლექციი აგებული იქნება შედარებებზე: იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ, შრომობენ, აშენებენ ჩვენი საბჭოთა ადამიანები, და იმაზე, თუ სადამდე მიჰყავს მშრომელები კერძომეწარმეობას კაპიტალის ქვეყნებში. ფაქტები კი ძალიან ბევრი მაქვს.

...აი როგორია ჩვენი თანამედროვე, კომუნისტი, პარტიული კომიტეტის ლექტორი, მემანქანე-ინსტრუქტორი აკაკი ხარაძე, უყვართ მისი მოსმენა მეელმავლეებს თავიანთ საამქროში და სალექციო დარბაზის ტრიბუნაზე. იგი რწმენით და აღფრთოვანებით ლაპარაკობს. დიდი ენერგია და საბრძოლო მგზნებარება აქვს. ეს აღმაფრთოვანებლად მოქმედებს, და მას როგორც წინამძღოლს, მასები გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს.

ვ. მაისურაძე.

მეტალურგთა აწმყო და მომავალი

ცამამულო მეტალურგიის განვითარების ისტორიაში ჩაიწერა მეასმალიონე ტონა ფოლადის ჩამოსხმის სახელოვანი ფურცელი. ახლა ჩვენი ქვეყნის მეტალურგები იცდილობენ ფოლადის წარმოების მხრივ გაუსწრონ ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამ მიზნით გაჩაღებულ ლაშქრობაში აქტიურად მონაწილეობენ რუსთაველი მეტალურგები.

ოქტომბრის იუბილეს ქართველი მეტალურგები შეხვდნენ. ახალი სასახელო მაჩვენებლებით — გადაჭარბებით იქნა შესრულებული თუჯის, ფოლადის, ნაგლინის და მილების წარმოების გეგმაც და ვალდებულებაც. სწორედ შარშან, საიუბილეო წელს ჩვენ უარი განვაცხადეთ სახელმწიფო დოტაციაზე და 7 მილიონი მანეთი მოგება მივეცით სახელმწიფოს.

ქარხნის კოლექტივის შრომა სათანადოდ იქნა შეფასებული და გადმოგვეცა რესპუბლიკური საიუბილეო სამახსოვრო წოდელი დროშა. ჩვენი ქარხნის ახალგაზრდობა კი დაჯილდოდა კომკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშით. აღსანიშნავია, რომ ქართველი მეტალურგები ღარსეულად იკავებენ ადგილს ჩვენი ქვეყნის 28 მოწინავე მეტალურგიულ საწარმოს შორის.

ხუთწლედის მესამე წელი წარმატებით დავიწყეთ. ხუთი თვის სახელმწიფო გეგმა შესრულდა სრული მეტალურგიული ციკლით.

ხანგრძლივი და ბეჭითი მომზადების შედეგად შევუდექით წარმოების დაგეგმვისა და მართვის ახალი პროგრესული მეთოდების ათვისებას. ამ მხრივ გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა საშუალება მოგვცა მიმდინარე წლის ხუთი თვის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 102,2 პროცენტით შეგვესრულებინა. სამშობლოს მივეცით მილიონობით მოგება.

ტექნიკური პროგრესის დანერგვის მხრივ ქარხნის კოლექტივმა მრავალი საყურადღებო ღონისძიება განახორციელა. ინსტიტუტებთან მჭიდრო კავშირში დადაწყდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მრავალი საინტერესო საკითხი. ასეთებად შეიძლება ჩავთვალოთ ფოლადის უწყვეტად ჩამოსხმა, კოლოდური გოგირდის მიღება და მრავალი სხვა.

პირველად საბჭოთა კავშირში რადიალური კრისტალიზატორების გამოყენებით მიღებულია და დანაზე გაგლინულია ათეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი სლაბი. კოლოიდური გოგირდის წარმოება უკვე შევიდა საწარმოო სიმძლავრის ათვისების სტადიაში.

მილგაგლინავებმა აითვისეს სხვადასხვა დიამეტრის მილების ახალი სახეები. კარგად მომდინარეობს ამ უბანზე საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია.

ტექნიკურად სრულყოფილი ხდება მილსაადიდგო წარმოება. მილნამზადის აგრეგატის რეკონსტრუქციის სამუშაოებმა ფადიდესი კორექტივი შეიტანეს საწარმოო სიმძლავრის ზრდის საქმეში. ხუთწლედის უკანასკნელ ორ წელიწადში 18 პროცენტით გაიზარდა მზა ნაგლინის წარმოება, გაფართოვდა მილების ასორტიმენტი, გაუმჯობესდა წარმოების ავტომატიზაცია. ქარხნის ტექნიკური პოტენციალი გაძლიერდა.

მეტალურგებს მრავალი ხელშემშლელი მიზეზებიც აქვთ. ქარხნისათვის სამილე ლენტონის მიწოდების დაგვიანებაში შეუფასებლობამ წლის პირველი დღეებიდანვე შექმნა სირთულე გეგმისა და დაკვეთების შესრულების საქმეში. შარშან ნიკონ-ტაგილისა და ზლატოუსტის ქარხნებმა არ მოგვაწოდეს 40 ათასი ტონა ლითონი, რამაც, რა თქმა უნდა, ერთობ მძიმე პირობები შექმნა ქარხანაში, მაგრამ მგლინავების საასპარეზო უნდა ითქვას, რომ მათ მაქსიმალურად გამოიყენეს ყველა შესაძლებლობა და თავი დაიცვეს ერთ გეგმაში, რომელიც ჩვენ შევადგინეთ და აქტივის კრებაზე მივიღეთ, შეტანილია წარმოების ტექნიკური [illegible] ამაღლების, [illegible] სტრუქტურის [illegible] ბების [illegible] ბის გაუმჯობესებისა და მშრომელთა ჯანმრთელობის მრავალი მსხვილი და საყურადღებო ღონისძიებანი. წარმოების სოციალური განვითარების შემუშავებული გეგმა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს 1970 წლისათვის 1967 წელთან შედარებით 14 პროცენტით გაიზარდოს მილების წარმოება, ხოლო 50 პროცენტით — მილადიდგა.

ქარხნის შემდგომი განვითარების პერსპექტიული გეგმით დასახულია ამოცანა 1975 წლისათვის თუჯის წარმოება გავზარდოთ 3-ჯერ, ფოლადისა — 2-2,5-ჯერ, მზა ნაგლინისა — 2,5-ჯერ და მილებისა — 2-ჯერ. ამასთან შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 75 პროცენტით და წმინდა მოგება — 10-ჯერ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს საქართველოს სიამაყე — რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ჩავიყვანოთ ჩვენი ქვეყნის ყველაზე მოწინავე საწარმოთა რიგში და მოვიპოვოთ „კომუნისტური შრომის ქარხნის“ სამატიო წოდება.

დიდი ამოცანებია დასახული აგრეთვე შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების კულტურის ზრდისათვის. ამისათვის ფართოდ ვიყენებთ საწარმოო პროცესების ავტომატიზაციას და კომპლექსურ მექანიზაციას. ეს კი, რა თქმა უნდა, დიდად შეამსუბუქებს როგორც გონებრივ, ისე ფიზიკურ შრომას, შეიტანს ძირეულ ცვლილებებს ადამიანის იდეოლოგიაში, მის ტექნიკურ და საზოგადოებრივ ცოდნაში. უფრო დისციპლინირებულსა და პასუხისმგებელს გახდის კოლექტივის თვითეულ წევრს.

დასახულია აგრეთვე მშრომელთა საშუალო გამომუშავების გადიდების, მათი საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა. 1970-1975 წლებისათვის მეტალურგთა თვითეული ოჯახი იცხოვრებს საკუთარ ოზოლირებულ ბინაში.

ასეთია რუსთაველ მეტალურგთა ნათელი მომავალი.

— მივცეთ სამშობლოს გეგმის გადამეტებით ათობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები — აი დევიზი, რომლითაც ამჟამად იბრძვიან ქართველი მეტალურგები.

ს. შარაძენიძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

წარმატებით შრომობს ხუთწლედის მესამე წელს თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ამას წინათ საიუბილეო — მეათასე უნიკალური ჩარხი გამოუშვა. მარტო მიმდინარე წლის ხუთ თვეში აქ 141 ზემოღალი სიზუსტის მრგვლად სახეხი, ლითონსაჭრელი და სპეციალური ჩარხი დაამზადეს. ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა ქარხნის საექსპერიმენტო უბანმა, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული ქარხნის გამართული მუშაობა. აქ მუყაითი შრომით გამოირჩევიან (მარცხნიდან) ხარატი რ. ქემოკლიძე, ამწყობი ზეინკალი ლ. აიპაზოვი და ხარატი ვ. ფიდიაკინი.

ფოტო ბ. ბოგოხიასი.

თეორიულ კონფერენციაზე

აბაშა. სამიქაოს მაბარაძის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში ჩატარდა თეორიული კონფერენცია. წაკითხულ იქნა საინტერესო მოხსენებები შემდეგ თემებზე: „მარქსიზმის წარმოშობის ისტორიული პირობები“, „ლენინიზმი. ახალი ეტაპია მარქსიზმის განვითარებაში“, „მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოშობა და განვითარება მარქსიზმ-ლენინიზმის ზეიმია“.

ე. მიქაძე.

გატეხილი სახელი... და კრამიტი

რედაქციას უკასუხებს საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრი

ასეთი სათაური ჰქონდა კრიტიკულ წერილს, რომელიც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა. იგი მეტების საშინ მასალათა კომბინატის მიერ უხარისხო კრამიტის გამოშვებას ეხებოდა. წერილის გამო საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრი ს. ლორთქიფანიძე გვაცყობინებს:

„ვაცნობებთ, რომ საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ თბილისის საშენი მასალების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად მეტეხის საშენ მასალათა კომბინატში კრამიტის ხარისხის გასაუმჯობესებლად მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ჩაატარა მთელი რიგი სპეციალური სამუშაოები.

ამჟამად კრამიტის საამქროში გატარებულ საჭირო ღონისძიებათა შემდეგ კომბინატი უშვებს კრამიტს, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტის ყველა მოთხოვნილებას. ტექნოლოგიური დანაკარგები დაყვანილია ნორმამდე.

შეჩვენებული მონადირეები

„კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „შეჩვენებული მონადირეები“ მხილებულ იყვნენ მაიაკოვსკის რაიონის მცხოვრებლები დ. ნატრიაშვილი და გ. დოგრაშვილი, რომლებმაც მთიდან გამოქცეული შეული მოკლეს. დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს.

როგორც მაიაკოვსკის რაიონის სახალხო სასამართლოდან გვატყობინებენ დამნაშავეებს დ. ნატრიაშვილს და გ. დოგრაშვილს თითო წლით პატიმრობა მიესაჯათ. აღნიშნულ მსჯავრდადებულებს სასამართლომ დააკისრა აგრეთვე ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს სასარგებლოდ ორასი მანეთის გადახდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა დ. ნატრიაშვილისა და გ. დოგრაშვილის მიმართ უცვლელად დატოვა ძალაში.

მარქსიზმ-ლენინიზმი ერთიანი ინტერნაციონალური მოძღვრებაა

2.

ბურჟუაზიის იდეოლოგები და რეფორმისტები მუშათა მოძრაობის რიგებში დიდიხანია ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ წარმოადგინონ ლენინიზმი როგორც მხოლოდ რუსული მოვლენა. მაგალითად, ფილოსოფოსი-ოეზუიტი ბოხენსკი, ფრაიბურგის უნივერსიტეტის რექტორი, წერს, რომ ლენინიზმს აქვს „წმინდა რუსული“ ხასიათი, რომ იგი წარმოებულია რუსული კულტურისაგან, რომელიც „უცხოა დასავლეთევროპელებისათვის“.

ბოხენსკისა და მის მსჯავსთათვის ეს უმცირება მისატევებელია. მაგრამ ძნელია გაგებული იმ ადამიანებს, რომლებიც ისწრაფვიან პროპაგანდა გაუწიონ მარქსიზმს და ამასთან ერთად ცდილობენ წარმოადგინონ ლენინიზმი როგორც ცხოვრების მხოლოდ რუსულ პირობებთან დაკავშირებული მოვლენა. ასეთი პოზიციებიდან გამოდის, სანუშაროდ, ამბ. ჩ. ციასარეიც.

დიახ, მსჯავსად იმისა, როგორც მარქსიზმის სამშობლო იყო XIX საუკუნის შუა ხანების გერმანია, ლენინიზმის სამშობლო იყო XIX საუკუნის დამლეგისა და XX საუკუნის დამდეგის რუსეთი. მაგრამ გერმანიაში რომ გაჩნდა, ამას მარქსიზმისათვის ხელი არ შეუშლია იმაში, რომ, შეიწოვა და კრიტიკულად გადაამუშავა რა ყველაფერი, რაც კი ყველაზე მოწინავე იყო თავისი დროის ფილოსოფიური, ეკონომიური და პოლიტიკური აზრის განვითარებაში, აღმოაჩინა არა ამა თუ იმ ცალკეული ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების, არამედ მთელი საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის კანონები.

მარქსის დროსაც იყვნენ ადამიანები შაშნიელი გერმანიის ბურჟუაზიის ბანაკიდან, რომლებიც, ხედავდნენ რა, რომ მარქსი „კაპიტალში“ მეტწილად ინგლისის მონაცემებს იყენებს, ფიქრობდნენ, რომ ის რაზეც იგი წერს, მათს ქვეყანას არ შეეხება. მარქსმა მაშინ გერმანელ ბურჟუაზიას უპასუხა: „განა ეს შენი ისტორია არ არის!“. და მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმის განვითარების მსვლელობამ დაადასტურა, რომ მარქსი მართალი იყო.

ლენინიზმი, რომელიც გაჩნდა რევოლუციისწინა რუსეთის ნიადაგზე, სადაც გადაინაცვლა მსოფლიო-რევოლუციური პროცესის ცენტრმა, აგრეთვე იყო შედეგი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ბრძოლის გამოცდილების, ანმპერიალიზმის ეპოქაში ერთნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის გაზოგადებისა, შედეგი მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარებისა, დიალექტიკური მეთოდის შეფარდებისა არა მარტო რუსეთის, და არც თუ უმთავრესად რუსეთის, არამედ ევროპის, ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალიზმის, მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის ანალიზისადმი, არა მარტო რუსული, არამედ აგრეთვე გერმანული, ფრანგული, ინგლისური და ამერიკული უახლესი ფილოსოფიური, ეკონომიური და პოლიტიკური თეორიების ანალიზისადმი.

ყველა ქვეყანაში კომუნისტები ლენინიზმს განიხილავდნენ და განიხილავენ როგორც მარქსიზმის შემოქმედებითს განვითარებას, როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმს, როგორც ინტერნაციონალურ მოძღვრებას, მარქსიზმის, მისი ფილოსოფიური მატერიალიზმის, დიალექტიკის, მისი რევოლუციური სულისკვეთების, მისი ეკონომიური მოძღვრების, სოციალისტური რევოლუციის და სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობის, მისი თეორიის ერთადერთ ნამდვილ მეცნიერულ განვითარებას. ეს ახალი საფეხურია მარქსიზმის განვითარებაში.

კომუნისტებს ყოველთვის მიაჩნდათ და მიაჩნიათ, რომ ლენინიზმი არა წმინდა რუსული, არამედ საერთაშორისო მარქსისტული მოძღვრებაა. და სწორედ ამიტომ მის საფუძველზე იქმნებოდნენ, შენდებოდნენ და ვითარდებოდნენ ყველა ქვეყნის მარქსისტული პარტიები.

ლენინიზმი თეორიული საფუძველია რევოლუციური ბრძოლის და ახალი საზოგადოების მშენებლობის ურთულესი საკითხების გადაწყვეტისა, მეცნიერული საფუძველია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხის საქმიანობისა, რომელიც მსოფლიოში პირველი ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობას. ისევე როგორც ჩვენს პარტიას, ყველა მარქსისტულ-ლენინურ პარტიას თავისი წვლილი შეაქვს ლენინიზმის, ჩვენი ეპოქის მარქსიზმის, საგანძურში, ამდიდრებს და ავითარებს რევოლუციურ თეორიას.

და სწორედ ამიტომ მარქსიზმ-ლენინიზმი მარად ცოცხალი მოძღვრებაა, რომელიც არ ძველდება. მაგრამ, ჩანს, ასე არ ფიქრობენ ისინი, ვინც თავის ამოცანად დაისახა სახელი გაუტეხოს ლენინიზმს, დემაგოგიურად ქადაგებს მარქსიზმის „ალერძინებას“ ულენინიზმოდ და, მაშასადამე, ლენინიზმის წინააღმდეგ. ასეთი „ალერძინება“ სინამდვილეში ნიშნავს ბერნშტეინიანელობამდე, კაუცკიანელობამდე დაქანებას, დაშვებას. ულენინიზმოდ არ შეიძლება იყოს თანამედროვე მარქსიზმი.

რევიზიონისტები იბრძვიან მარქსიზმის მონოლითურობის წინააღმდეგ, ე. ი. მარქსიზმის როგორც საზოგადოების განვითარების კანონების, კაპიტალიზმის განვითარების კანონების, სოციალისტური რევოლუციის და სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობის შესახებ ერთიანი მეცნიერების გაგების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ისინი ისწრაფვიან „დაიტაცონ“ მარქსიზმი „ეროვნულ ბინებში“. მათი მიხედვით გამოდის, რომ მართლზომიერია არსებობა როგორც მემარჯვენერეფორმისტული კარიკატურისა მარქსიზმზე, ისე მისი განშტამტებისა მაო ძე-დუნის „ციტატების კრებულის“ მიხედვით.

ჩინეთის მემარცხენერევიზიონისტულმა ელემენტებმა „მაო ძე-დუნის იდეები“ გამოაცხადეს გაჩინებულებად მარქსიზმად, თანამედროვე ეპოქის მარქსიზმად. სინამდვილეში მაოს ციტატების კრებული, რომელსაც იზეპირებენ როგორც ლოცვანს, როგორც კატეხიზმოს, — ბოროტი პაროდიაა მარქსიზმზე, მისი უხეში დამახინჯებაა.

აბა, მაშინ რაღა ვუყოთ თვითეული ქვეყნის სპეციფიკური პირობებისადმი კონკრეტულ-ისტორიულ მიდგომას? აი სწორედ აქ არის საჭირო დიალექტიკური მიდგომა ზოგადისა და განსაკუთრებულის, სპეციფიკურის თანაფარდობისადმი. მემარჯვენე და „მემარცხენე“ ჯურის რევიზიონისტები ღალატობენ ამ დიალექტიკას, როცა ერთმანეთს უპირისპირებენ ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს.

ლენინი აყენებდა შემდეგ დებულებას ზოგადისა და განსაკუთრებულის თანაფარდობის შესახებ: „ჩვენ სრულებით არ ვუყურებთ მარქსის თეორიას როგორც რაღაც დამთავრებულ და ხელუხლებელ რამეს; პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა წასწიონ წინ ყველა მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ცხოვრებას ჩამორჩნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსი სოციალისტებისათვის განსაკუთრებით აუცილებელია მარქსის თეორიის ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲚᲘ დამუშავება, ვინაიდან ეს თეორია იძლევა მხოლოდ ზოგად ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡᲘ დებულებებს, რომლებიც ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ინგლისის მიმართ სხვანაირად გამოიყენება, ვიდრე საფრანგეთის მიმართ, საფრანგეთის მიმართ სხვანაირად, ვიდრე გერმანიის მიმართ, გერმანიის მიმართ სხვანაირად, ვიდრე რუსეთის მიმართ“ (თხზ., ტ. 4, გვ. 252-253). ასე წერდა ლენინი სტატიაში „ჩვენი პროგრამა“ ᲯᲔᲠ კიდევ 1899 წელს. და მან ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲛᲘᲗ შეისწავლა კაპიტალიზმის განვითარება რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. იგი წერდა კაპიტალიზმის გაბატონებულობის ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲠᲣᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ

საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა • პროგლემები • ერთვნული

მსოფლიოს დეპეშათა საagენტოები იუწყებიან

გელგიის ახალი მთავრობა

ბრიუსელი, 17 ივნისი. (საkდესი). სოციალურ-ქრისტიანული პარტიისა და გელგიის სოციალისტური პარტიის კოალიციის საფუძველზე შეიქმნა გელგიის ახალი მთავრობა. ეს დღეს გაnაცხადა აქ გაnართულ პრესkონფერენციაზე ახალი მთავრობის მეთაურმა პრემიერ-მინისტრმა გასტონ ეილkინსმა (სოციალურ-ქრისტიანული პარტია).

